ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

11 ივლისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№28 (9342)
ფასი 40 თეთრი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – მოქმედებაში

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკურორტო სოფლებში: ტბაზე, ცემში, სადგერსა და ლიბანში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს.

სოფლებში - (ცემი, სადგერი და ლიბანი) - სკვერები, ხოლო სოფელ ტბაზე სასმელი წყლის სისტემა მოეწყობა.

საკონსულტაციო შეხვედრები ბორჯომის მუნიციპალიტეტის 33 სოფელში გაიმართა. სოფლის კრებებზე ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ხმათა უმრავლესობით შეარჩიეს ის პრიორიტეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც დასახლებისთვის გამოყოფილი თანხა მოხმარდება.

2024 წელს, ბორჯომის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან 436 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 872 000 ლარი გამოიყო.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია, სოფლებში სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დაფინანსება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

საკონსულტაციო შეხვედრა – ახალდაბაში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ დავით ზაალიშვილმა და საკრებულოს დეპუტატებმა ახალდაბის მოსახლეობასთან, გამოჩენილი ქართველი მსახიობის ტრისტან სარალიძის საცხოვრებელი სახლის (64.21.02.528) მიმდებარე ქუჩისათვის სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული იდეა წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს ეკუთვნის.

ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი ტრისტან სარალიძე 1955 წელს ახალდაბაში დაიბადა.

ტრისტან სარალიძე 1980 წლიდან იყო შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი. სცენაზე შესრულებული აქვს არაერთი როლი: ჯამბაზი (,,სპექტაკლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“), ჭეიშვილი (,,საბრალდებო დასკვნა“), პოლიციელი (,,სეჩუანელი კეთილი ადამიანი“), მკვლელი (,,მაკბეტი“), გელა (,,მერე რა რომ სველია სველი იასამანი“), ქავთარ (,,ლამარა“), შაქრო (,,კაცია ადამიანი“), ჯარისკაცი (,,მეთორმეტე ღამე“), მეათე მსაჯული (,,თორმეტი განრისხებული მამაკაცი“).

შესრულებული აქვს ათობით კინოროლი, მსახიობს განსაკუთრებული პოპულარობა რეჟისორ გიორგი შენგელაიას ფილმში ,,სიყვარული ყველას უნდა“ შესრულებულმა მეორეხარისხოვანმა როლმა მოუტანა.

ტრისტან სარალიძე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2024 წლის მაისში გარდაიცვალა.

ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

ხათუნა ხარაზიშვილი ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელად დაინიშნა, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ბორჯომის №3 საჯარო სკოლის დირექტორი იყო. პარალელურად არის ბორჯომის საკრებულოს დეპუტატი.

განათლების რესურსცენტრის ახალი ხელმძღვანელი მოვალეობის შესრულებას უკვე შეუდგა.

გისურვებთ წარმატებას!

ძვირფასო აბიტურიენტებო, თქვენთვის მნიშვნელოვანი პერიოდია, დაიწყო ერთიანი ეროვნული გამოცდები.

წინ ემოციურად დატვირთული დღეები გელოდებათ. იმედი მაქვს, რომ ყველა გამოცდას წარმატებით ჩააბარებთ, გახდებით სტუდენტები და განათლების მიღებას სასურველ ფაკულტეტებზე გააგრძელებთ. მერწმუნეთ, განათლება საკუთარ მომავალში ჩადებული საუკეთესო ინვესტიციაა და გისურვებთ, რომ სტუდენტობის პერიოდი მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

თქვენ ხართ ჩვენი საყვარელი ქალაქის და, ზოგადად, ქვეყნის მომავალი თაობა. მე ღრმად მწამს, რომ თითოეული თქვენგანი შეძლებს საკუთარი თავის რეალიზაციას და დასახული მიზნების მიღწევას. მე კი გპირდებით, რომ ცოდნის მიღების რთულ და მრავალფეროვან გზაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტი მუდამ თქვენს გვერდით იქნება.

კიდევ ერთხელ გისურვებთ მრავალ წარმატებას და დასახული მიზნების განხორციელებას!

საუკეთესო სურვილებით,

დავით ზაალიშვილი,
ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დააფასეთ მშობელთა გულშემატკივრობა!

ერთ-ერთ აბიტურიენტთა ჯგუფში გოგონამ დაწერა:

„როცა გამოცდაზე დედა გახლავთ, დააფასეთ ეს ფაქტი, რადგან მე დედა აღარ მყავსო“.

ასობით ქალი გამოეხმაურა გოგონას, რომლებიც წერდნენ, რომ მიეწერათ მისი საგამოცდო ცენტრის მისამართი, **,,მე მოვალ შენს საგულშემატკივროდო“.** ეს გახლდათ უდიდესი სოლიდარობის გამოხატვა და თანადგომა ქალბატონების მიერ, ხოლო იმ აბიტურიენტებისათვის, რომლებსაც ასაკობრივი თავისებურების გამო არ სურთ დედა ახლდეს და ელოდებოდეს საგამოცდო ცენტრთან, არის გზავნილი, თუ დედა გეტყვის, რომ შვილის საგულშემატკივროდ მზადაა საათობით იდგეს საგამოცდო ცენტრთან, უარი არ უთხრათ, პირიქით, ეცადეთ მთელი სითბო, პატივისცემა გამოხატოთ და კიდევ უფრო მეტად დააფასოთ მშობელთა განწყობა, ნერვიულობა და მზრუნველობა შვილებზე.

აბიტურიენტებისათვის მართლაც რომ ცხელი დღეები დაიწყო, რომელსაც მთელი ზაფხულის განმავლობაში თან ახლავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების მოლოდინი.

მესმის, რომ მარტივი არაა, ელოდო შედეგს, რომელმაც შენი ცოდნა და უნარები ერთად უნდა შეაფასოს და სასურველ მიზნამდე წარმატებით მიგიყვანოს. ეს მიზანი ზოგიერთისათვის 100 %-იანი გრანტია და ზოგისთვის მხოლოდ გამოცდის ჩაბარების სურვილი. ასე რომ, დაიმახსოვრეთ, სწორედ თქვენი სურვილი და მიზანი განსაზღვრავს სამომავლოდ გამოცდაზე მიღებულ შედეგსაც და ხშირ შემთხვევაში მომავალსაც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

თითოეულ აბიტურიენტს, ვისაც სურვილი აქვს, რომ მიიღოს უმაღლესი აკადემიური განათლება, ვუსურვებ წარმატებას, მიზნებისა და ოცნებების ასრულებას. გახსოვდეთ, რომ ყოველი დღე ახალ შესაძლებლობად უნდა აქციოთ და თქვენი ოცნებების შესასრულებლად გამოიყენოთ ყოველი წამი. თქვენ გულშემატკივართა გულები ამიერ და იმიერ საქართველოშიც გაგეხარებინოთ.

იზა იანვარაშვილი

კეთილმოწყობილი გზები ქვეყნის სიმდიდრეა

დიდი ხნის აღიარებული ჭეშმარიტებაა - კეთილმოწყობილი საფეხმავლო თუ საავტომობილო გზები ქვეყნის უდიდესი სიმდიდრეა. ყველა დროში გზების მშენებლობაზე მილიონობით თანხა იხარჯებოდა. ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ხარისხიანი გზების მნიშვნელობა და დღესაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გზების ხარისხიან მშენებლობას.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში საფეხმავლო თუ საავტომობილო გზების მშენებლობას ძირითადად სამშენებლო ორგანიზაცია **,,მშენებელი-2012“** აწარმოებს (ფირმის მეპატრონე **ვახტანგ კაპანაძე**, დირექტორი **ავთანდილ სვანიძე).**

მიმდინარე წლის ტენდერში სწორედ ამ სამშენებლო ორგანიზაციამ გაიმარჯვა და განვლილ ექვს თვეში დიდი მოცულობის სამუშაოებიც შეასრულა, რომლებიც ციფრებში ნამდვილად შთამბეჭდავია. მეგზაველებმა ქალაქში 2500კვ. მეტრი ასფალტ-ბეტონის გზა დააგეს, ახალ უბანში - 1125კვ.მეტრი, სოფელ ლიკანში - 8 ათასი კვ.მეტრი, თორის ქუჩაზე - 1300კვ.მეტრი, ყვიბისში - 1200, მზეთამზეში - 4800, ხოლო საკირეში - 1300 კვ.მეტრი ასფალტის გზა მოაწესრიგეს.

ახლა კი სოფლის პროგრამით გათვალისწინებული გზების კეთილმოწყობას იწყებენ რველში, საკირეში, დგვარში, თორში, ვარდგინეთში, ბეშეთში. ამ მოცულობის სამუშაოების შესასრულებლად დამატებით შეიძინეს ასფალტის სატკეპნი ორი აგრეგატი და ერთი სატვირთო მანქანა. საგზაო სამუშაოების ხარისხიანად შესრულების საქმეში გამოირჩევიან გრეიდერის მემანქანე **კონსტანტინე მეტრეველი, ექსკავატორისტები იოსებ გაგლოშვილი და გიორგი ნანეტაშვილი, მძღოლები გელა ჩადუნელი, გიორგი სუხიაშვილი, ზურაბ ტალახაძე, მალხაზ მაზიაშვილი, სერგო კურტანიძე, გიული ჩადუნელი** და სხვები.

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების გარდა მეგზაველები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ბორჯომ-ბაკურიანის, ცხრაწყარო-ტაბაწყურის, ბორჯომი-ტბა-ცემის, წაღვერი-ტიმოთესუბანი-მზეთამზეს სამახქანო გზების მოვლა-პატრონობას.

წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეგმით გათვალისწინებული საავტომობილო გზები და ფეხით მოსიარულეთა გზა-ბილიკები სრულ მზადყოფნაში ჩაბარდება სპეციალურ კომისიას.

ვალერიან დავითაძე.

რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა

ბორჯომში, გელოვანის ქუჩაზე, ე.წ ,,ცოფიანი ღელის“ რეაბილიტაცია დასრულების ეტაპზეა.

პროექტის ფარგლებში, 108 მეტრზე რკინა-ბეტონის არხი ეწყობა.

ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 459 350 ლარია გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ღელე ადგილობრივი მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი იყო, რადგან გასულ წლებში უხვი ნალექის გამო ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, მიმდინარე წელსაც არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას გეგმავს.

„ბორჯომი“ საქართველოს სავიზიტო ბარათია!

შესავლის მაგივრ

მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი დაიშალა და საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში მრავალი ახალი კანონი, გადაწყვეტილება და იურიდიული დოკუმენტი შეიქმნა, მათ შორის სამინისტროებში, სახელმწიფო უწყებებში, დეპარტამენტებში თუ მსხვილ კომპანიებსა და ფირმებში ყველგან შეიქმნა საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურები. მათ გარეშე ადგილებზე არსებული წარმოება-დანესებულებები პრესას და ტელევიზიების ჟურნალისტებს ერთ სიტყვასაც არ ეტყვიან თავიანთი საქმიანობის შესახებ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებთან გადაგამისამართებენ. ზემდგომებს უნდა გაუგზავნო კითხვები, რომლებზეც პასუხს ან გამოგიგზავნიან ან არა. გამონაკლისია კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველო“, რომელიც ოპერატიულად ეხმაურება ჩვენს თხოვნას. ამჯერად ვერ მოვითმინე და ზემდგომის დაუკითხავად ყვიბისში მშენებარე ქარხნის დირექტორს ბატონ **მიხეილ წეველიძეს** ვთხოვე რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა. სიამოვნებით დამთანხმდა და როგორც კი დრო გამონახა, დამიკავშირდა.

საგულდაგულოდ მოვემზადე, კითხვები ჩამოვწერე, ბორჯომის მინწყლების ისტორიასაც გადავავლე თვალი და ყოველმხრივ მომზადებული დირექტორთან წასასვლელად მოვემზადე, ჩემი კაბინეტის კარები გაიღო და ახალგაზრდა შემოვიდა. თქვენთან ბატონმა მიხეილმა გამომაგზავნა, გელოდებითო. ასეთი პატივისცემით ადგილობრივი ჟურნალისტები ნამდვილად არ ვართ განებივრებულები, მადლობა გადავუხადე სტუმარს და ათიოდე წუთის შემდეგ ბატონ მიხეილის კაბინეტის შესასვლელში №2 ჩამომსხმელი ქარხნის დიდი ხნის ნაცნობებს მივესალმე და მოვიკითხე. ისინიც განცვიფრებულები მიყურებდნენ, რა მოხდა, რამდენი წელია ჩვენთან არ ყოფილხარო.

- როგორც ვატყობ, დემოკრატია და თავისუფალი სიტყვის გამოთქმის საშუალება ნამდვილად იმკვიდრებს ადგილს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბატონ დირექტორს უნდა შევხვდე და წერილი მინდა მოვამზადო მშენებარე ქარხნის შესახებ, ვთქვი ბოლო წინადადადება და დირექტორის კაბინეტის კარებიც გაიღო, ბატონმა მიხეილმა კაბინეტში მიმიპატიჟა.

მოკლედ ბორჯომის მინწყლების ისტორიდან

XIX საუკუნის 80-იან წლებში დადგინდა ბორჯომის მინწყლების სამკურნალო თვისებები, ანალიზებისა და ხანგრძლივი დაკვირვებების შემდეგ მეცნიერებმა და მედიკოსებმა დაასკვნეს, რომ ბორჯომის მინერალური წყალი სამკურნალოდ დასალევად ბევრად უკეთესია, ვიდრე აბაზანების სახით მისი გამოყენება. დაისვა საკითხი - მინწყლის რუსეთში გატანის შესახებ, რაც მთელ რიგ ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას მოითხოვდა.

1888 წელს ბორჯომს ეწვია მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. მარკოვნიკოვი, რომელმაც შეისწავლა ბორჯომის მინწყლის სამკურნალო თვისებები. პრიმიტიულად ჩამოისხა რამდენიმე ასეული ბოთლი მინწყალი და გაიგზავნა მოსკოვში პროფესორ მ. ჩერნიშოვის კლინიკაში, სადაც ავადმყოფებზე წარმოებდა დაკვირვება, ექსპერიმენტს კარგი შედეგი მოყვა, ავადმყოფთა დიდი უმრავლესობა ბორჯომის მინწყალმა განკურნა...

1892 წელს მინწყლების პარკში აშენდა ხის შენობა, სადაც პრიმიტულად წარმოებდა მინწყლის ბოთლებში ჩამოსხმა.

1893 წელს ბორჯომში გაიმართა ბორჯომის მინწყლების სამმართველოს დირექციის საგანგებო სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ ბოთლებში ჩამოსხმული „ბორჯომი“ თავისი სამკურნალო თვისებებით მსოფლიოში სახელგანთქმულ „ვიშის“ წყალზე უკეთესია. ეს მაღალი შეფასება ემყარებოდა ობიექტურ მონაცემებს. სწორედ ამ პერიოდში, ხანგრძლივი ძიების შედეგად, მიღებული დასკვნა დაედო საფუძვლად ბორჯომის მინერალური წყლის სამრეწველო წარმოებას.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბორჯომის მინერალური წყლები საქართველოს სავიზიტო ბარათია. მით უფრო ახლა, როცა წლიდან წლამდე საქართველოში მილიონობით ტურისტი და დამსვენებელი ჩამოდის, ამიტომ ჩვენი ვალია, მსოფლიოს კარგად გავაცნოთ, რა სიმდიდრის პატრონები ვართ, ამის შესაძლებლობები კი ბორჯომში ნამდვილად გვაქვს.

დღეს ქალაქი, რომლის სახელით, მინერალური წყალის „ბორჯომი“-ს ჩამოსხმა წარმოებს, მსოფლიოს 40 ქვეყანაში 400 მილიონამდე ბოთლი მინწყალი გააქვთ სარეალიზაციოდ.

კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველო“ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში თავისი ეკონომიკური, ფინანსური თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურობით, „ბორჯომის“ მინწყალმა არაერთი გამარჯვება მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე, ხოლო საქართველოში ბიზნესის განვითარების საქმეში ღირსეული წვლილი შეაქვს. კომპანია საქართველოს და კერძოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი შემავსებელია, აქტიურად ეხმარება საქართველოს რაგბის და კალათბურთის სპორტულ ორგანიზაციებს და სხვა.

ბორჯომში უნიკალური და გიგანტური ქარხანა შენდება

მესამე წელია ყვიბისში, ყოფილ №2 ჩამომსხმელი ქარხნის ტერიტორიაზე შენდება ახალი გიგანტური მოცულობის ქარხანა, რომელიც თავისი სიდიდით და თანამედროვე საჩამომსხმელო ხაზებით, ლაბორატორიით, მინწყლის ავზებით, სასაწყობო მეურნეობით, სარკინიგზო ქსელითა და სხვა დამხმარე სათავსოებით უნიკალური იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში.

ქარხნის მშენებლობა სანახევროდაც არაა დამთავრებული და გაოცებას იწვევს მისი პარამეტრები, ერთ დიდ სამშენებლო პოლიგონადაა გადაქცეული ვეებერთელა ტერიტორია, სანარმოს ადმინისტრაცია დროებით ფლიგელშია განთავსებული, მაგრამ მის საჩამომსხმელო საამქროებში, დერეფნებში, სასადილოში, გარე პერიმეტრებში ყველგან იდეალური სისუფთავე იგრძნობა, სპეცტანსაცმელის გარეშე საამქროში შესვლა სასტიკად აკრძალულია (ეს მოთხოვნა ერთნაირად ეხება ყველას, საწარმოს რიგით მუშას, საამქროს უფროსს თუ ჟურნალისტს).

ქარხნის ახალგაზრდა დირექტორთან, ბატონ მიხეილ წეველიძესთან დიდხანს ვისაუბრე ამ გიგანტური საწარმოს მომავალზე, ქარხნის (უფრო ობიექტური იქნება თუ ვიტყვით (კომბინატის) პარამეტრებზე.

ჩამომსხმელ საამქროში გერმანიიდან ექვსი სრულიად ახალი, თანამედროვე საჩამომსხმელო ხაზები დამონტაჟდება, (ორი უკვე დამონტაჟებულია, მესამე და მეოთხე მონტაჟდება). ამ უნიკალურ ხაზებს გერმანელი სპეციალისტები ამონტაჟებენ და ერთდროულად ადგილობრივ მუშებს ასწავლიან მათ მართვას და სრულ ტექნოლოგიურ პროცესს.

- **ჩამომსხმელი ხაზების სიმძლავრეები მართლაც რომ გრანდიოზულია.**
- **ბორჯომის მინწყლის მინის ბოთლში ჩამოსასხმელი ხაზი საათში - 60 ათასი ბოთლის სიმძლავრისაა.**
- **პეტის (ანუ პლასტმასის) ბოთლებისათვის ორი ხაზი მონტაჟდება, თითოეულის სიმძლავრე საათში 35-35 ათასი ბოთლია;**
- **ალუმინის ქილებში ჩამოისხმევა ხილის წვენის და „ბორჯომის“ მინწყლის ბაზაზე დამზადებული ლიმონათი საათში - 35 ათასი ქილა;**
- **პეტის 3 და 6 ლიტრიან ჭურჭელში ჩამოისხმევა წყაროს წყალი „ბაკურიანი“ საათში - 8 ათასი ბოთლი:**
- **19 ლიტრიან ბალონებში ჩამოისხმევა მტკნარი წყალი ოფისებისათვის საათში - 300 ცალი.**

სადღეისოდ კომპანია ყოველთვიურ დავალებებს სახეობის მიხედვით წარმატებით ასრულებს.

დღეს ქარხანა სანახევროდაც არაა აშენებული და მხოლოდ 200 ადამიანია დასაქმებული, ხოლო ერთი წლის შემდეგ, როცა ქარხნის მშენებლობა დასრულდება, 600 ადამიანი დასაქმდება.

საჩამომსხმელო ხაზების პარალელურად მიმდინარეობს საამქროების გაფართოების, ლაბორატორიის და თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობებით აღჭურვა, ცალკე შენდება სასაწყობო მეურნეობა და სარკინიგზო ხაზები.

დოსიე: „IDS ბორჯომი-საქართველოს“ კომპანიის №2 ჩამომსხმელი ქარხნის დირექტორი მიხეილ წეველიძე 50 წლისაა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი. აქვს ლიმონათის, ლუდის, მტკნარი წყლების სხვადასხვა ჩამოსასხმელ ქარხნებში 25-წლიანი მუშაობის გამოცდილება.

რამდენიმე წელია ნაყოფიერად მუშაობდა ბორჯომის №1 ჩამომსხმელ ქარხანაში. ყავს მშობლები, მეუღლე და 3 შვილი. არჩეული იყო ბორჯომის საკრებულოს დეპუტატად, 15 წელი რაგბს თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივში“

როგორია კომპანიის თანამშრომელთა შრომის პირობები?

ამ უნიკალურ საწარმოში გათვალისწინებულია მომსახურე პერსონალის შრომის, დასვენების, შრომის ანაზღაურების, საყოფაცხოვრებო პირობების დაცვის მაქსიმალური პირობები.

როგორ ბატონმა მიხეილმა მითხრა, - ადამიანური ფაქტორი კომპანიისათვის უპირველესია და ეს მოთხოვნა კომპანიის გენდირექტორის, ბატონ ივანე მაჭავარიანიდან მოდის და მისი შესრულება ჩვენთვის სავალდებულოა.

თანამშრომლები სპეცტანსაცმელის გარეშე სამსახურში არ დაიშვებიან. საამქროებში, სასადილოში, აბანოში, დერეფნებში და საწარმოს ტერიტორიაზეც ყველაფერი იდეალურად გამოიყურება.

კედლებზე ბორჯომის მინწყლების ჩამოსხმის და მოპოვებული ჯილდოების ამსახველი ისტორიაა გაცოცხლებული. სამომავლოდ აპირებენ სახელოვანი ისტორიის კიდევ უფრო საფუძვლიან შესწავლას.

მახსოვს ჩამომსხმელ ქარხნებში არსებული დაზგა-დანადგარების ყურისწამღები ხმაური, ჩამომხმელები მუხლებამდე წყალში იდგნენ, მტვირთავი მუშები ხშირად ხელით ტვირთავდნენ ვაგონებს... ბოთლის გატეხვით მიყენებული ტრამვით ხშირად მუშები სამუდამოდ ხეიბრად რჩებოდნენ...

დღეს საამქროებში იდეალური სიწყნარე და წესრიგია. ერთი ოპერატორი ამუშავებს უშველებელ საჩამომსხმელო ხაზს, ავტომატურია მზა პროდუქციის დატვირთვა-დაცლის პროცესი.

ალბათ, გაინტერესებთ, მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, საყოფაცხოვრებო, ფინანსური, სამედიცინო პირობების დაცვის საკითხებიც.

ქარხნის დირექტორმა, ბატონმა მიხეილ წეველიძემ სიამაყით მითხრა.

- **მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 1500 ლარია:**
- **წელიწადში ორჯერ ეძლევათ ხელფასის ოდნობის პრემია:**
- **ყველა მუშა-მოსამსახურე უზრუნველყოფილია სამედიცინო დაზღვევით;**
- **ყველა ახლად დაქორწინებულს ეძლევა პრემია;**
- **ყველას შვილის შეძენაზე ეძლევა პრემია:**
- **ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოლექტივის წევრი იღებს დახმარებას;**
- **თანამშრომლების შვილები, რომლებიც უმაღლესში სწავლობენ, ეძლევათ ფულადი დახმარება;**
- **წელიწადში ერთხელ თანამშრომლებისათვის დაგეგმილია საინტერესო ექსკურსია, ხოლო დაზღვეულები დამატებით იღებენ დახმარებას;**
- **მუშა-მოსამსახურეებისათვის სასადილო უფასოა. თუ დასაქმებული 8 საათს მუშაობს, კვება უფასოა, თუ 12 საათს მუშაობს, ეძლევა დამატებითი კვება.**
- **საინტერესოა, როგორია სანარმოს კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმე. სასიხარულოა, რომ სანარმოში დასაქმებულთა დიდი უმრავლესობა ბორჯომელია, ეს კი დიდი სტიმულია და საამაყოა თითოეული ბორჯომელისათვის.**

ერთ წელიწადში კავკასიაში ერთ-ერთი უნიკალური და მოცულობით უდიდესი საწარმო აშენდება. ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს არამარტო კომპანიაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს, არამედ თითოეულ ბორჯომელს.

დასკვნის მაგიერ: ბატონ მიხეილთან დიდხანს ვისაუბრეთ მშენებარე გიგანტური საწარმოს შესახებ, მის მომავალზე, რომელიც სერიოზული შემოსავლით შეავსებს როგორც რესპუბლიკის, ისე ჩვენი ქალაქის ბიუჯეტს, რაც მთავარია, ბორჯომს კიდევ უფრო ბევრი ქვეყანა გაიცნობს. განსაკუთრებით ახლა, როცა წლიდან წლამდე სულ უფრო იზრდება მსოფლიოში მტკნარ წყალზე მოთხოვნილება და დღეს 2,5 მილიარდი ადამიანი წყლის დეფიციტს განიცდის.

ბატონ მიხეილთან გულახდილ საუბარში ბორჯომის მომავალზეც ვისაუბრეთ. თვით უნიკალურმა მინერალურმა წყალმა „ბორჯომმა“ ორი საუკუნის მანძილზე მილიონობით ადამიანი განკურნა. სამწუხაროდ, უნიკალურ „ბორჯომის“ მინერალურ წყალს დღემდე შესაფერისად არ ვაფასებთ, ნუთუ ამ „უკვდავების წყალს“ არ ეკუთვნის ღირსეული მემორიალი ან ძეგლი რომ დაუდგათ?! დღემდე არც ბორჯომის მინწყლის მუზეუმი გვაქვს.

თუ დღეს ბორჯომში დამსვენებელი და ტურისტი ჩამოდის, ისიც ძველი დიდების და სახელის დამსახურებაა. თითქმის 30 წელია ბორჯომმა დაკარგა აღიარებული ბალნეოკურორტის სახელი, არადა, ბორჯომის ყოფილ სანატორიუმებში მინწყლის მკურნალობით მილიონობით ადამიანი განიკურნა.

ჩემი მოკრძალებული წინადადებაც გავაცანი ბატონ მიხეილს კომპანიის ხელმძღვანელობისადმი გადასაცემად, ეს სახელოვანი კომპანია და ინვესტორი უნდა ზრუნავდეს „ბორჯომის“ მინწყლის სახელის პოპულარიზაციისათვის და მისი სახელის კიდევ უფრო შორს გატანისათვის. სამწუხაროდ, იშვიათად შეხვდებით ბორჯომის მინწყალის შესახებ წიგნს, ბუკლეტს, გზამკვლევს ქართულ და უცხოურ ენაზე. ყოველნლიურად ერთმნიშვნელოვან თანამედროვე ობიექტს მაინც უნდა აშენებდეს ბორჯომში.

ახალგაზრდა დირექტორი გულწრფელად დაეთანხმა ჩემს მიერ გამოთქმულ წინადადებას და ბოდიშის მოხდით გულწრფელად მითხრა: - **ერთ წელიწადში ქარხნის მშენებლობა დამთავრდება და ბორჯომს ნამდვილად მივხედავთო.**

ღმერთმა ნატვრა აგვიხდინოს.

P.S სულმნათმა ილია ჭავჭავაძემ ქართველ ერს სამსიტყვიანი ჭეშმარიტება დაგვიტოვა - „მამული, ენა, სარწმუნეობა“ და გვიანდერძა მისი წმინდად დაცვა. დიდი ილიას მოწოდებას ხეობის მაცხოვრებლებისათვის დამატებით კიდევ სამსიტყვიან საყვარელ ფრაზას ვეტყოდი:

გულწრფელად გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ბორჯომის მინერალურ წყალს, ბორჯომის უნიკალურ ბუნებას და ქალაქ ბორჯომს, რომლებიც ჩვენთვის ნამდვილად საკრალური სიტყვებია, გულის ფიცარზე უნდა დავიწეროთ და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ სიტყვა „ბორჯომს“.

ვალერიან ლომიძე

პრობლემების კვალდაკვალ

ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

უამრავჯერ დაგვიწერია ბორჯომში არსებული პრობლემების შესახებ, თუმცა, როდესაც ვხედავთ, რომ არსებული პრობლემა არათუ გამოსწორდა, არამედ უფრო უარესადაა მდგომარეობა, ვიდრე მანამდე იყო, ყველაზე დიდ გულისტკივილს სწორედ ეს იწვევს. მოკლედ, ისევ მინდა, ბორჯომის ქუჩებში არსებულ მდგომარეობაზე ვისაუბრო, რომელსაც ყოველდღიურად ვხვდებით და ეს ყოველივე კი განსაკუთრებით თვალშისაცემია ცენტრალურ ქუჩებში. ჯერ კიდევ წლებია საუბარია, სეპარირების პროგრამის შესახებ, რომელიც საყოფაცხოვრებო ნარჩენების დახარისხების პროცესს დააჩქარებდა, თუმცა დამერწმუნეთ, რომ შეუგნებელ მოქალაქეს ვერც სეპარირების საკითხი შეუშლის ხელს დაუდევარი საქციელის ჩადენაში.

ქალაქის ცენტრში, ბორჯომის №1 საჯარო სკოლასთან 2 მცირე მოცულობის ნაგვის ურნა დგას, რომლის გარშემოც ქუჩაში მოსიარულე ცხოველებისაგან გადმოყრილი ნაგვის პარკებითაა სავსე. და თანაც, ყველაზე საშინელება კი იცით რა არის? იმ პარკებში საკვები ნარჩენები ყრია, რომელიც მოქალაქემ მიზანმიმართულად ჩაუძახა ნაგვის ურნაში და დარწმუნებული ვარ, სულ არ უფიქრია, რომ საკვებიდან დარჩენილი ულუფა პირდაპირ გაენაწილებინა ქუჩაში მოსიარულე ცხოველებისთვის. თუმცა, ამის სანაცვლოდ ადგა, პარკში გამოკრა სხვა ისეთ ნარჩენებთან ერთად, რომელიც რეალურად საკვების ნარჩენებთან ერთად არ არის რეკომენდებული, რომ ნაგავში გადაყარო.

ამას წინათ ისევ №1 საჯარო სკოლის ეზოში ძალიან ცუდ სურათს წავაწყდი, პატარა ურნის ქვემოთ დამტვრეული თეფში ეგდო საკვების ნარჩენებთან ერთად, რომელიც ძაღლებმა გადმოყარეს. გული შემეკუმშა, შემეშინდა რაღაცნაირად, ცხოველი წარმოვიდგინე, რომელიც საკვების ძიების პროცესში, იმის გამო რომ ვიღაც დაუდევარმა ადამიანმა ჭურჭლის ნამტვრევი ურნაში გადაუძახა, შესაძლოა, რომ ცხოველის ჯანმრთელობას საფრთხე შექმნოდა. ალბათ სოციალურ ქსელშიც არაერთხელ შეგვხვედრია კადრები, სადაც ასეთი (დასახიჩრებული) ცხოველები გვინახავს. რატომღაც, ჩემი უმცროსი შვილის საქციელი გამახსენდა, მახსოვს, ჭიქა გამიტყდა და ნაგვის ურნაში რომ ვაპირებდი გადაგდებას, მითხრა, - დედა, პარკებში გადაასხვე, წებოვანი ლენტი (ე.წ.სკოჩი) გადააკარი და ისე გადააგდე, ხომ იცი, ქუჩის ძაღლები და კატები ნაგვის ურნაში ეძებენ საჭმელს და ნამტვრევებით რომ დაიჭრას, ხომ ცოდოა? გაოცებულმა შევხედე და ვკითხე, საიდან იცოდა ეს ყოველივე. მიპასუხა, რომ ვიდეო ვნახე, სადაც ადამიანებს აფრთხილებდნენ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, სანამ ჭურჭლის ნამტვრევს ურნაში მოათავსებდნენ. მისმა ნათქვამმა დამაფიქრა და მესიამოვნა კიდეც, რადგანაც 7-8 წლის ბავშვისთვის, ამ ყველაფრის გააზრება და შემდეგ ქმედებაში განხორციელება და უფროსისთვის რჩევის მიცემა კიდევ მეტად სასიამოვნოდ მოსასმენი მეჩვენა.

არ ვიცი, რა შეიძლება ითქვას ადამიანების დაუდევარ საქციელზე, რა შეიძლება ვუწოდოთ მათ ქმედებას, როდესაც იმ ტერიტორიაზე, სადაც მოსწავლეები თამაშობენ ყოველდღიურად, ბოთლების ნამტვრევებით გაავსო ტერიტორია?

№1 საჯარო სკოლის მიმდებარედ, სადაც სათამაშო მოედანია და არა მარტო სასწავლო დღეებში, არამედ შაბათ-კვირასაც კი სიამოვნებით ერთობიან მოზარდები და იქვე სკვერია, რამდენჯერ შევხვდი გატეხილი მინის ბოთლის ნამტვრევებს. კი მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ მინის ბოთლები იქვე რამდენიმე მეტრში მდგარ ნაგვის ურნაში ჩაყარონ? გაზეთ ,,ბორჯომის“ რედაქტორის მონაყოლი გამახსენდა, ერთ დღეს, ქალაქის ცენტრში ახალგაზრდა ბიჭების საუბარს შეესწრო, თურმე რომისა და ბარსელონის სიდიადეზე საუბრობდნენ, თუმცა ხელში მზესუმზირა ეჭირათ და იქვე ყრიდნენ ნარჩენებს. შენიშვნა რომ მივეცი, მორიდებით უთქვამთ, ცოცხი არ გვაქვს, თორემ დავგვიდითო, ბოდიში მოიხადესო. ნაგვის ურნა კი იქვე იდგა, თუმცა, რაღა მეთქვა, ავდექი და გამოვცილდიო.

ეს და კიდევ უამრავი მსგავსი ფაქტი გადახდენია ალბათ ყველა ჩვენთაგანს და მაინც გისვამთ კითხვას, კი მაგრამ, ცოცხი რად გინდათ? როცა უფალს ჯერ აზროვნება მოუცია ჩვენთვის და მხედველობაც, რადგანაც იქვე, რამდენიმე მეტრში მდგარ ურნაზე რა უნდა თქვათ, როდესაც ნაგვის ურნის გვერდით დგახართ და თითქოს ვერ ხედავთ, ისე ყრით და ანაგვიანებთ ტერიტორიას? რატომ იქცევით ასე? იმიტომ რომ, ,,ჩვევა რჯულზე უმტკიცესია“? მართლაც ასეა, აბა სხვაგვარად როგორ შეიძლება რომ იყოს?

P.S. რამდენჯერაც გინდათ მოიარეთ ევროპა და ამერიკა, ასეთ უკულტურობას ვერსად ნახავთ და მგონია, თუკი შინაგანი კულტურა და საკუთარი ქვეყნის სიყვარული არ შეისისხლხორცეთ და გაისიგრძეგანეთ, ისე არაფერიც არ გამოვა.

ევროპაში უკულტურო და უზნეო ადამიანების ადგილი არ არის, დაიმახსოვრეთ!!!

ნატო მელიქიძე

ისევ წყლის პრობლემათა ქრონოლოგიაზე

წყალი ისევ სამი დღით არ იქნებაო, - ხმა სწრაფად ვრცელდება ახალდაბაში და მოსახლეობა წყალს შეძლებისდაგვარად იმარაგებს. დაილოცოს ბუნების მადლი, მრავლადაა წყაროს წყალი და შემდეგ ამ წყაროებიდან ეზიდებიან.

წყლის პრობლემას ასე უმკლავდებიან ახალდაბელები უწყლო დღეებში, მაგრამ იმ პრობლემას ვერაფერს უხერხებენ წყლის სათავე ნაგებობიდან რომ იღებს სათავეს და აქილევსის ქუსლად იქცა მოსახლეობისათვის. უწყლო დღეების შემდეგ მილებში გაშვებული წყალი საშინლად ჭუჭყიანი მოედინება, ხშირ შემთხვევაში კი საყოფაცხოვრებო ტექნიკას უქმნის დიდ პრობლემებს და გამუდმებით ხელოსნის გამოძახება ხდება საჭირო. სილა მილებში იჭედება და სპეციალური ტექნიკის გარეშე მისი გაწმენდა შეუძლებელია.

წვიმის დროს წყალი სასმელად უვარგისი ხდება და ონკანებში ყავისფერი მოედინება. მას მხოლოდ ტექნიკური წყლის მნიშვნელობით თუ გამოიყენებ, სასმელად წარმოუდგენელია რომ დალიო, თუმცა როდესაც ონკანში სუფთა წყალი მოედინება, სწორედ ამ წყლის წვეთების ძალასა და სიცოცხლეს გრძნობ მისი დაგემოვნებისას. ძალიან ხშირად უთქვამთ დამსვენებლებს, რომლებსაც გაუბედავთ და ახალდაბის წყალი გაუსინჯავთ, რომ უგემრიელესია და სიცოცხლის ძალა აქვს თქვენს წყალსო. (შეუძლებელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან როდესაც მზიან დღეებში სუფთა კამკამა წყალი მოედინება, ძნელია გაუძლო ცდუნებას, ამ დროს უგემრიელესი წყლის დაგემოვნების მონაწილე არ გახდე.)

ზაფხულობით ახალდაბაში დამსვენებელთა უმრავლესობა მაღაზიებში ყიდულობს სასმელ წყალს, როდესაც ონკანებში სუფთა წყალი მოედინება, მას მაინც არ იყენებს სასმელად.

იმედის მომცემი ინფორმაცია ვრცელდება მოსახლეობისათვის, რომელებიც წლებია სასმელი წყლის პრობლემაზე ღიად საუბრობენ. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე არაერთხელ დამიწერია აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ყველას აწუხებს და მის მოგვარებას მუდმივად ითხოვს.

გასულ კვირას ახალდაბის წყლის პრობლემის მოსაგვარებლად ბორჯომის მუნიციპალიტეტმა ოფიციალური ინფორმაცია გამოაქვეყნა, სადაც აღნიშნულია რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში, სასმელი წყლის შიდა ქსელის და ე.წ ,,სადგურის" უბანში საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო.

ახალდაბაში სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები 1530 მეტრზე განხორციელდება. სასმელი წყლის შიდა ქსელი პოლიეთილენის მილით შეიცვლება.

ხოლო ,,სადგურის" უბანში საკანალიზაციო ქსელი, რომლის დაზიანებული მონაკვეთი 1561 მეტრს შეადგენს, სრულად რეაბილიტირდება. მოეწყობა საკანალიზაციო ჭაც.

სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტით ფინანსდება და მას შპს „მელიზა" ახორციელებს.

სამუშაოებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომადგენლებისგან ინტერვიუს სახით მათი თანხმობის შემთხვევაში ოპერატიულად შემოგთავაზებთ. მოსახლეობა იმედოვნებს, რომ აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები არსებულ პრობლემას წვიმის დროს ყავისფერი წყლის მიწოდებას ონკანებში საბოლოოდ აღმოფხვრის.

იზა იანვარაშვილი

ცხენთა რემა მხედრების გარეშე

საკურორტო სეზონის კვალდაკვალ ქუჩებში ავტომანქანების სიმრავლესთან ერთად ეტაპობრივად გზებზე, ცხენების სიმრავლეც მარტივად შეინიშნება, რომლებიც მხედრების გარეშე გადაადგილდებიან. ისინი ზოგჯერ ყვიბისის ხიდთან იწონებენ თავს გამვლელების წინაშე და გზის დათმობას ითხოვენ ავტომობილის მძღოლების მხრიდან, ზოგჯერ ქაოსურ ვითარებასაც ქმნიან და საავარიო სიტუაციაც იქმნება.

რამდენიმე დღის შემდეგ კი ცხენები ვაშლოვანის დასახლებასაც ეწვივნენ და ამჯერად უბნის პატარა სტუმრები გააბედნიერეს. უდავოდ უხდებოდნენ გარემოს და სხვა მნიშვნელობას სძენდნენ, მაგრამ აქ, არც მათთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილია და არც შესაბამისი გარემო, რომ თავი ლაღად იგრძნონ.

ვფიქრობ, საცხენოსნო ბილიკებზე გადაადგილების მსურველთა რაოდენობა ბოლო პერიოდში იმდენად გაიზარდა, რომ ცხენების სადგომისათვის და მოვლა-პატრონობისათვის სპეციალური ადგილ-მდებარეობაა საჭირო. სადაც არა მარტო მათი შესაბამის პირობებში განთავსება იქნება შესაძლებელი, ბავშვებს, მოზარდებსა და მსურველებს ცხენზე ჯირითიც შეეძლებათ; მათ შორის ცხენების ყიდვაც და

მასზე ზრუნვაც მეპატრონისგან ერთგვარი წინაპირობა იქნება, რომ მათზე პირადად იზრუნოს. წარმოიდგინეთ, როგორ სიხარულს გამოიწვევს ბავშვში, როდესაც იცის, საჯინიბოში მის საკუთრებაში და მზრუნველობაში მყოფი ცხენი ელოდება.

ბორჯომში აღნიშნული მომსახურება მხოლოდ კერძო პირებისგანაა შესაძლებელი, რომლებსაც ჰყავთ ცხენები, მაგრამ აღნიშნული სრულყოფილი სერვისით სარგებლობა შეუძლებელია. ალბათ, სწორედ მათ ეკუთვნით ის ცხენები, გზებზე გულს რომ უხარია მათი დანახვა. მაგრამ თან გულისწყვეტას იწვევს შესაბამის გარემოში, რომ არ იმყოფებიან და მხედრის გარეშე გადაადგილდებიან პირდაპირ გზებზე. ამას წინათ ისეთ დაბნეულებსა და შეშინებულებს შევესწარი, რომ გულმა სიბრალულისა და სიყვარულის გრძნობა ერთად გამოიწვია. თუ პასუხისმგებლობას აიღებთ საკუთარ თავზე, პირუტყვსაც მოუარეთ შესაბამისად.

მე პირადად, 4-5 ცხენს კვიცებთან ერთად დილით ეზოში გასულს სიამოვნებით მივესალმე. მოსაფერებლად რომ მივედი, ჩვეული მკვირცხლობით გვერდით გავიდნენ და გზა განაგრძეს. ყველა ასეთი კეთილგანწყობით როდი უყურებს მათ სტუმრობას სახლებთან და მრავალბინიან საცხოვრებლებთან. მაშინვე რედაქციაში რეკავენ და აღნიშნული თემის გაშუქებასა და მოგვარებას გვთხოვენ. ჩვენც, ჩვენი იარაღით, სიტყვის ძალით ვცდილობთ პრობლემა გავაშუქოთ და მის მოგვარებაზე კიდევ ერთხელ ვთქვათ სათქმელი იქამდე, სანამ შედეგს არ დაინახავს საზოგადოება.

იზა იანვარაშვილი

გამარჯვებულები დაგვიბრუნდნენ

ჩოხატაურში ნინო რამიშვილის სახელობის ხელოვნების სასახლეში ილიკო სუხიშვილის სახელობის კონკურს-ფესტივალი გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა ,,მერმისმა“. პირველ ნაკადში გამოდიოდა ანსამბლ ,,მერმისის“ ტაძრისის ფილიალი, ხოლო კონკურსში უშუალოდ ანსამბლი ,,მერმისი“ მონაწილეობდა. კონკურსის მთავარი ჟიურის წევრები იყვნენ სუხიშვილების მოქმედი და ყოფილი ოქროს თაობის მოცეკვავეები, ასევე სუხიშვილების ახალი თაობის მოცეკვავე ქორეოგრაფები: ნინო ნიკოლაიშვილი, თამარ ელიოზიშვილი, დავით უგრეხელიძე, დავით კალანდაძე, ლაშა სხვარაძე.

სალომე მაზმიშვილი, ანსამბლ ,,მერმისისა“ და ,,სუხიშვილების აკადემიის“ ქორეოგრაფი: - მეტად საპასუხისმგებლო იყო ეს დღე ჩემთვის და თითოეული მოცეკვავისთვის, რადგან ჩემი ნაშრომი უნდა წარმედგინა სუხიშვილებისათვის, ძალიან ამაღელვებელი იყო და ყველა ძალიან ვნერვიულობდით. ჩვენთან ერთად ბევრი ანსამბლი იღებდა მონაწილეობას და მართლაც რომ უძლიერესი ანსამბლები. მათ შორის იყვნენ ქ.ზუგდიდის ქორეოფრაფიული ანსამბლი ,,იმედი“, რომელსაც ვარსკვლავი აქვს გახსნილი და ასევე თბილისის ქორეოფრაფიული ანსამბლი ,,ივერიანი“, რომლებიც გრანპრის მფლობელები გახდნენ. ნამდვილად საუკეთესო დღე იყო ანსამბლისათვის, რომ ბოლომდე ებრძოლათ და წარმოეჩინათ თავი ძლიერი ანსამბლების გვერდით და ნამდვილად შეძლეს ეს. პირველი ადგილი დაიმსახურა ანსამბლმა ცეკვა ,,თუშურით“ და ,,ყაზბეგურით“. ჟიურის დიდი მოწონება დავიმსახურეთ და აღნიშნეს, რომ ბორჯომს საუკეთესო თაობა ეზრდება და ნამდვილად ასახელეს მშობლიური ბორჯომი. ჩვენ მხოლოდ ანსამბლის სახელით არ გამოვდივართ, პირველ რიგში ეს ჩვენი ქალაქის სახელია. თითოეული ჩვენთაგანისათვის დაუვიწყარი დღე იყო 29 ივნისი, ემოციებით დატვირთული და სიყვარულით სავსე. ჩვენი ანსამბლის მოცეკვავეებისა და მათი მშობლების ბედნიერი სახეები ჩვენთვის ყველაზე დიდი გამარჯვებაა.**

მოამზადა ნატო მელიქიძემ

ვულოცავთ!

მურადი ნოზაძეს

ჩემს მეგობარს, ბატონ მურადი ნოზაძეს, დაბადებიდან 75 და შრომითი საქმიანობის 55 წელი უსრულდება. მის მიერ განვლილი ცხოვრება და შრომითი საქმიანობა აღსავსეა მნიშვნელოვანი წარმატებებით. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ იგი არის მტკიცე და მოსიყვარულე ოჯახის პატრონი. ბატონმა მურადმა უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ მუშაობა პედაგოგობით დაიწყო, რამდენიმე წელში მას პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ ნიშნავენ. საქმისადმი ერთგულებამ და ნიჭიერებამ საშუალება მისცა დანინაურებულიყო ბორჯომის რაიონის გამგებლის მოადგილედ. რამდენიმე წლის წარმატებული საქმიანობის შემდეგ მას ნიშნავენ გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად, პარალელურად ირჩევენ საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ბატონმა მურადმა, სადაც კი იმუშავა, ყველგან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, პუნქტუალურმა, ყურადღებიანმა და ორგანიზატორული უნარების მქონე პიროვნებამ.

ვულოცავთ საიუბილეო თარიღს, გვინდა ვუსურვოთ დღეგრძელობა, მშვიდობა და წარმატებები პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

პატივისცემით **თეშერ ხუხუნაიშვილი**,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

პოეზიის კუთხე

რა არის ჩვენი სიცოცხლე



ნასახიც აღარ იქნება
საფლავებისა ჩვენიო.
ჩვენ გავალთ სულ სხვა თაობა
მოევლინება მთა-ბარსა,
ისინიც ჩვენებრ - ჩვენსავით
ქვეყნიერების ავ-კარგსა.
ყოველ სულდგმულ-სულიერის
სასტუმროს წუთისოფელსა,
მრავალ ცოდვების ბუდესა,
მრავალ ჭირ-ვარმის მშობელსა.
მანამდე ვიცოცხლებთ, ვიცოცხლოთ,
ვიცხოვროთ ღმერთის მცნებითა,
გარდაუვალსა სიკვდილსა
მაინც ვერ გავექცევითა.
დიდს თუ პატრას სუყველას
ოდესღაც დაგვამიწებსა,
უკვდავმყოფლობას ამქვეყნად
არავინ გვაღირსებსა,
რაც რომ გარდაუვალია,
მასზე აღარ ღირს დარდები,
ომახიანად ვიცოცხლოთ,
ეკალს ვარჩიოთ ვარდები.

რა არის ჩვენი სიცოცხლე,
წუთიერ-წამიერია,
ქვეყანას ამ ცა-მიწასა
ვაზივართ როგორც მტვერია.
დღესა ვართ, ხვალ არ ვიქნებით,
ყველას მოგვივა ჯერია,
დაგვმიწავს - დაგვასამარებს
სიკვდილი საძაგელია.
ოხრად დაგვრჩება ყოველი,
ყველა და ყველაფერია,
მომგონიც არ გვეყოლება
არც მოყვარე, არცა მტერია,
ისე წაგვრეცხავს დრო-ჟამი,
საუკუნე და წლებია,

გურამ ქუნცელი-ივანიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

ტრენინგი „ქცევის მართვის“ პრობლემებზე

ამა წლის 24-25 ივნისს ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ორგანიზებითა და ორგანიზაცია „მაკ ჯორჯიას“ მხარდაჭერით ჩატარდა „ქცევის მართვის“ ტრენინგი.

ორდღიანი ტრენინგი მოიცავდა შემდეგ თემებს: „რთული ქცევის გამომწვევი მიზეზები და მიზნები“, „ქცევის მართვის ABC მოდელი“, „დადებითი განმტკიცება“, „ჯგუფის მართვის სტრატეგიები და ტანტრუმის მართვა“.

ტრენინგს ესწრებოდნენ ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელ-პედაგოგები, ფსიქოლოგები და სპეციალური მასწავლებლები.

ბორჯომის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელობა მადლობას უხდის ორგანიზაცია „მაკ ჯორჯიას“ გუნდს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებისათვის.

ეს უნდა იცოდეთ

არც ღარიბი, არც მათხოვარი, არც უსახლკარო, ეს არის მსოფლიო ლიტერატურის გიგანტი: ლევ ტოლსტოი! ის იყო რუსეთის ერთ-ერთი დიდებული, რომელიც ფლობდა უზარმაზარ მიწებს და დიდ სიმდიდრეს. მან მთელი თავისი ქონება ღარიბებს, გაჭირვებულებს და უმწეოებს გადასცა და ასკეტურად ცხოვრობდა. მისი ერთ-ერთი ცნობილი გამონათქვამია: „ნუ მელაპარაკები ზედმეტად რელიგიაზე, უფრო ნება მომეცი რელიგია დავინახო შენს ქმედებებში“. მან თქვა: „თუ გრძნობ ტკივილს, ცოცხალი ხარ, მაგრამ თუ გრძნობ სხვის ტკივილს, ადამიანი ხარ“.

მათ ვისაც შეიძლება ეხებოდეს

ჩემს სანოტარო ბიუროში შემოსულია განცხადება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან, სადაც ითხოვენ აწ გარდაცვლილი მოქ. ვერა ვარლამოვას (გარდაცვლილი 2021 წლის 12 დეკემბერი) საკუთრებად აღრიცხულ უძრავ ქონებაზე მდებარე ქ. ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №35-ში, მეორე სართულზე არსებული 9.60 კვ.მ. შიდა ფართის ს/კ 64.23.01.920.01.505. როგორც უმკვიდრო ქონებაზე, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გაცემას, სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით.

თუ ვინმეს პრეტენზია გაგაჩნიათ აღნიშნულ ქონებაზე, გთხოვთ, მობრძანდეთ ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩა №145-ში მდებარე სანოტარო ბიუროში.

ნოტარიუსი **სალომე გვარჯალაძე**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.
იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.
WWW. colorgroup.ge
borjomipress9@gmail.com რედაქტორი: ვალერიან ლომიძე
ნომრის პასუხისმგებელი მორიგე: რუსუდან სხირტლაძე
კორექტორი: ნანა კევლიშვილი

ბორჯომის „თორი“ ტურნირის გამარჯვებული

ბორჯომის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ბორჯომში ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის თედო კაკულიას სახელობის თასის ტურნირი, სადაც 8 ასაკობრივმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

პირველი ადგილის მფლობელი გახდა ბორჯომის ,,თორი“, მეორე ადგილი თბილისის ,,ვილას“ ხვდა წილად, ხოლო მესამე ადგილი ,,არისტოკრატებმა“ დაიმსახურეს.

მადლობა ტურნირის ორგანიზატორებს და იმ ადამიანებს, ვინც ზრუნავს ჩვენი ფეხბურთელების განვითარებაზე.

ამბავი, რომელიც უნდა წაიკითხოთ!

ბორჯომში მცხოვრები 3 შვილის დედის ამბავი უნდა მოგიყვეთ, რომელიც შემთხვევით საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას მოხდა და მისი მაგალითით გითხრათ, რომ აუცილებლად უნდა გაფრთხილდეთ, როდესაც მგზავრობთ და ტრანსპორტში ფეხზე დგომა გიწევთ.

რადგან რესპონდენტმა მთხოვა სახელისა და გვარის გარეშე მომეყოლა თქვენთვის ამბავი, მისი თხოვნის გათვალისწინებით, მხოლოდ ფაქტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, სახელს კი პირობითად შევცვლი.

ნათია თბილისში სამარშრუტო ტაქსით გადაადგილდებოდა და როგორც ყოველთვის ტრანსპორტში ხალხის ნაწილი ფეხზე დგომით მგზავრობდა, მათ შორის იყო 3 შვილის დედაც, როდესაც მსუბუქმა ავტომობილმა უხეში მანევრით სამგზავრო ავტომობილს გზა ჩაუჭრა და მუხრუჭის შედეგად ტრანსპორტში ფეხზე მდგომი მოქალაქეები მომენტალურად წაიქცნენ. ბორჯომელ ახალგაზრდა ქალბატონს ერთ ფეხზე კოჭი და მეორე ფეხზე მუხლი დაუზიანდა. საავადმყოფოში გადაიყვანეს და უკვე ერთ თვეზე მეტია სახლში მკურნალობს და ხელჯოხებით გადაადგილდება. ასევე დაშავდნენ ტრანსპორტში ფეხზე მდგომი სხვა მგზავრებიც.

დაზარალებული საავადმყოფოში მოინახულა ავტოსაგზაო წესების დამრღვევმა მძღოლმა, რომელმაც მცირე კომპენსაცია მისცა დაზარალებულს, სავარაუდოდ იმ მოტივით, რომ საქმე სასამართლომდე არ მისულიყო.

- ამ მდგომარეობაში რომელ სასამართლოში ვივლიდი, საშინლად ვგრძნობ თავს. შემთხვევის შემდეგ ნამდვილად დავრწმუნდი, რომ ტრანსპორტით მგზავრობისას აუცილებლად უნდა ისხდნენ მგზავრები, რადგან შემთხვევისგან არავინ არ არის დაზღვეული. საქმე ჯანმრთელობას ეხება, რომელიც ყველა თანხაზე მნიშვნელოვანია, - გვითხრა ნათიამ ჩვენთან საუბრისას.

აღნიშნული ფაქტის გაგებამ ჩემზე ძალიან იმოქმედა, ადამიანებს უამრავი საქმე და მოვალეობები აკისრია. წარმოვიდგინე რა რთულ მდგომარეობაში იმყოფება დღეს ახალგაზრდა ქალი, მძღოლის საგზაო წესების დარღვევის გამო. ასეა, როდესაც ნაკლებად ინტერესდები რას რა შედეგი მოჰყვება.

ბორჯომის ქუჩებშიც ბევრჯერ შევსწრებივარ, როგორი სიჩქარით და უხეში მანევრირებით გადაადგილდებიან ავტომობილებით მგზავრები და არღვევს საგზაო წესებს, რომლის შედეგი ზემოთ უკვე მოგახსენეთ და მოგიყევით კიდეც.

ტრანსპორტში ფეხით დგომის მანკიერ ტრადიციას კი როგორ ვუშვლეით, ნამდვილად მაფიქრებს. ფრაზებს „ნაშურამდე გამოგყვები და ფეხზე ვიდგები“, “ახალციხემდე გამოგყვებით, ძალიან მეჩქარება“ და სხვა მგზავრის ჩასვლის მოლოდინით უსაფრთხოდ გადაადგილების დრო უნდა დასრულდეს. მანქანების სიმრავლე და ამასთან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა ყველაზე ნაკლებად იძლევა უსაფრთხოდ მგზავრობის გარანტიას.

იზა იანვარაშვილი

კონფერენცია მიეძღვნა საბუნებისმეტყველო საგნებს

20-21 ივნისს ივანე ბერიტაშვილის სახელობის სამეცნიერო-ექსპერიმენტულ ბიომედიცინის ცენტრში გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა “საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პოპულარიზაციას სკოლებში”.

კონფერენციაზე ბორჯომიდან მიწვეულნი იყვნენ ბორჯომის №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე - **მარიამ ტაბატაძე** და საგნის მასწავლებელი - **მარიზა ჯიქია**. დელეგატმა **მარიამ ტაბატაძემ** ისაუბრა თემაზე: ,,ონკოლოგიური დაავადებები“.

კონფერენციას ესწრებოდნენ: **სოფო კალმახელიძე** პროექტის ხელმძღვანელი, **ნინო ფოჩხიძე** - ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის ხელმძღვანელი, **გივი ჭკადუა** - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ხელმძღვანელი, პროექტის კონსულტანტი - **ია ჟვანი**ა. რევაზ სოლომონია - სამეცნიერო საბუნებისმეტყველო საგნების პროფესორი, **გოგი ჯიქია** - პროექტის თავმჯდომარე.

მონაწილეებს პირველ დღეს გადაეცათ სერთიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები. მეორე დღეს ივანე ბერიტაშვილის სახლ-მუზეუმის და ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის დასათვალიერებლად ვეჯინში გაემგზავრნენ, სადაც მუზეუმის დირექტორმა საზოგადოებას ივანე ბერიტაშვილის მუზეუმის უნიკალური ექსპონატები დაათვალიერებინა და უამბო დიდი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. საკონფერენციო დარბაზში მოისმინეს ცნობილი ფიზიოლოგის - პროფესორ მალხაზ მაყაშვილის და დოქტორ **ლევან ციცქიშვილის** საინტერესო ლექციები.

ბორჯომში საინტერესო შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ.

ბაჩო ნანეტაშვილის მონატრება

ჩვენო საყვარელო და სანატრელო ბაჩო, 19 წელი გავიდა იმ ავბედითი დღიდან, რაც ბედისწერამ გამოგვაცალა ხელიდან შენი სიცოცხლე. თვალის დახამხამებასავით გაფრინდა ჩვენთვის ეს წლები. ნამდვილად არ ყოფილა დრო ჩვენი უსაზღვრო ტკივილის მკურნალი.

სკოლა და უნივერსიტეტი წარმატებით დაამთავრე, მაგრამ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება ვერ მოასწარი, სწორედ მაშინ გიმტყუნა ბედისწერამ. განუკურნებელმა სენმა შენი მიზნები ფერფლად გიქცია, ვერც ჩვენ შევძელით შენი გადარჩენა, თუმცა ცდა არ დაგვიკლია გადარჩენისათვის.

12 ივლისს პეტრე-პავლობის დღესასწაულს შენი დაბადების დღეს აღვნიშნავთ. გილოცავთ ჩვენო ვაჟკაცო 39 წლის შესრულებას. შენს საფლავზე დავაფრქვევთ ცრემლებს, მოგიტანთ ყვავილებს, დავანთებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ ზეციურ სასუფეველში დაგიმკვიდროს სამუდამო საცხოვრისი.

ჩვენო ბაჩო, შენ ფიზიკურად არ ხარ ჩვენთან, მაგრამ სიცოცხლე გრძელდება, ვისთვის ტკბილად, ვისთვის მწარედ. დედას თვალებზე ცრემლი არ უშრება, ყოველდღე სევდით გიხსენებთ. მართლაც საკვირველია, როგორ ვძლებთ უშენოდ. ალბათ, ღმერთი გვაძლებინებს და კიდევ ის, რომ შენი დაიკო გაბედნიერდა და ჩვენს სიცოცხლეს აზრი მიეცა.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

მშობლები ვალერი, თინა, და ანა, სიძე, დისშვილები ბაჩო და გიგი.